# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 722

დამატების № 129

კვირა, 13 ნოემბერი 1916 წ.



„მონა“, მიქელანჯელოსი.

## კვლავ სიმარტოვე!

კვლავ სიმარტოვე! კვლავ სიმარტოვე!
დაველ სოფელში, როგორც ირაო
და თვით ეშმაკიც ვერსადა ვპოვე,
რომ სული ჩემი დავაგირაო...
კვლავ სიმარტოვე, კვლავ სიმარტოვე!
კვლავ ქვეყანაში ყოფნა ირაო!..

—

აი, გათავდა დღე დასავლეთში,
ვარსკვლავთა ზღვაში შეცურდა ღამე
და, გახვეული ისევ იმ ბედში,
ისევ იმ ჭირს ვსჭამ, რაც დღემდე ვსჭამე...

ღამეა... ჩემ წინ ახლად გათხრილი
გრძელმოსვენების საფლავი არი
და, ვმადლობ ღმერთსა, რომ ტანჯვათ შვილი
ძლივას ვეღირსე, ძლივს მოვესწარი.
მთელი სიცოცხლე ერთს შევალიე,
ერთის დევნაში დავწვი ჩემი დღე
და ეხლა, მხოლოდ ეხლა შევიტყე,
რომ სხვისა ვარსკვლავს ფუჭადა ვდიე...

—

ღამეა... სადღაც ხმა ისმის ზარის
და ისე მარტო ვგძნობ მე თავს სოფლად,
რომ ავაზაკიც აღარსად არის,
ჩემს გვერდით, ჩემთან ჯვარს გასაკრობლად!

მოსკოვი 1916—24 ოქტომ.

ი. მჭედლიშვილი.



† ჰენრიკო სენკევიჩი
გამოჩენილი პოლონელი მწერალი.

# ოცნების ღამე

(ნ—ს)

ჩვენი და მტრის ხაზები ლამის ერთი-მეორეს შეხვდნენ. სიახლოვე სიფრთხილეს გვიკარნახებს. ძილი და მოსვენება არ არსებობს. იმათ მაღლობი უჭერიათ, ჩვენ კი დაბლობზე, წყლის პირად ვიმყოფებით. ისინი ბუჩქნარის გრილოში განისვენებენ, ჩვენ კი მთელი დღე თხრილებში ვზივართ. ვზივართ და ბუნების გაჩაღებულ ვეებერთელა მაყალის წრეში ვიწვით, ვიწვით და ვიხარშვით.

საღამო ბინდ-ბუნდით მიეგება ღამესა. უკანასკნელმა კი ფართოდ ამონამგლული ტურფა მთვარე გვიძღვნა.

ოჰ, რა კარგია ეს მთვარე! იმისი ქალწულებრივ ნაზი, პოეტური დაფანტულობით სავსე, ფრთხილად ამომცურავი პირველ მხილებული სახე დიდ ხანს ულცნებოდ გაოცნებებს, უფიქროდ გაფიქრებს ხოლმე. სამარადისო ყოფნის ზღაპარს ჩაგჩურჩულებს, სულში ციურ, საიდუმლო ჰანგად გესკვნება.

ტკბილი და ღრმაა ღამით ოცნება! დღისით ის სუსტია ხოლმე, რახან დღე გონების თვალებით იცქირება, ღამეს კი გრძნობის თვალები ასხია; დღე ჰშლის, და ანაწევრებს, ღამე კი აერთებს და აკავშირებს. დღე თავ-გავრცელებაა; ღამე კი თავ-შემოკრებაა. დღისით საგნებთან ჩვენ ვართ, ღამით საგნებია ჩვენთან. დღისით ირგვლივობაში, გარემოში ჩვენ ვიმყოფებით, ღამით ირგვლივობა, გარემო ჩვენში არის.

სიყვარულზე ვფიქრობდი, როცა ჩემს წინ, რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე, უცხო, ღამის ყვავილი გადაიშალა. მშვენიერი იყო მშვენიერ ბუნებაში შობილი—სავსებით ეხამებოდა ნაზ ღამესა. ის არ მიემსგავსებოდა დღის ყვავილთ, რომელთა ფერს მყვირალი კილო აზის, სუნს ყნოსვის გამაჯავრებელი სიმძაფრე ახლავს, სხმულობას კი მეტად მკაფიო და ენერგიული ფორმები აქვს.—თაფლის წვრილი სანთელივით ჩამოქნილი ღერო, სანთლისავე ფერისა. სუსტ ძარღვებზე მიშენებული სუსტი ყლორტები. ნაზად გაშლილ ყვავილს ძალზე დათხელებულ ბაგეზე ღამის ოცნებიანი კილო მოკრძალებით დაუციალებდა. მიმკრთალებულ ფერს მთვარის სინაზე ნარ-ნარ რელიეფებად აჯდა. საუცხოვო სუნი კი თქვენს ყნოსვას თავდაჭერილი შერხევით უალერსებდა.

ღამის წიაღში უეცრივ რაღაც სიგრილის ჰაერმა დაჰქროლა... უცხო ყვავილს ჭმუნვის ჩრდილი დაეცა, სპეკალი ცრემლები ჩამოეკიდნენ და კაეშნის ანგელოზს მიემსგავსა.

ამ დროს მე ის შემიყვარდა... მას მიაგავდა არა თუ ჩემი ფიქრები სიყვარულზე, თვით სიყვარულიც. უკანასკნელიც აგრე მშვენიერი, ნაზი, საოცნებო, კაეშანი, ღამით შობილი და ღამით ზრდილი იყო, როგორც ეს ყვავილი... შემიყვარდა თვითეული ნაწილი, ნაკვთი ამ ყვავილისა და ყველაფერი, რასაც მის ირგვლივ ვხედავდი. შემიყვარდა ეს სიცოცხლე-მიხდილი, მზით გადახრუკული მილი. შემიყვარდა ეს მჩხვლეტავი, ნემსიანი ბალახი. შემიყვარდა სიკვდილისა და შხამის მატარებელი ყვითელი ობობა და რუხი ხვლიკი. თვით ქურთ-ოსმალნიც კი მიყვარდა ამ წუთებში...

ოცნების მსუბუქ ფრთებზე ვიჯექი, როცა თხრილების მწკრივში ჩუმად, გადმოცემით გამოტარებულმა ხმამ ჩემს ახლოს ღამის სიწყნარეში მკაფიოდ დაირაკრაკა—„ჩვენ საშველად №-თა ბატალიონი მოდის“. საითგან მოდის შეეკითხა მეორე. „მარჯვნით, უღელტეხილით“, მიიღო პასუხი. მე კი მოლოდინმა ამიტაცა. მტრის ბანაკს თვალდასმით დავაცქერდი.

მთვარე თხელ ღრუბელს ამოეფარა.

წამიც და მტრისგან დაკავებულ მაღლობის სიღრმიდან გრძელი ატლასის ენა ამოიჭრა, ცის თაღს წითელ რკალად გაეკრა და ჩვენს უკან ჰაერი საშინელი გრიალით შეირყა. მეორე... მესამე...

მომავალ ბათალიონს ესვრიანს! გაისმა ხმა.

— როგორ შეამჩნიეს ამ ტიალებმა, გაიკვირვა მ ორემ.

უეცრივ შევამჩნიე რომ ერთი რკალი ძლიერ მოკლედ მოიზნიქა. ჩვენს წინ კი მიწიდან მტვრის ღრუბელი აიჭრა, ჰაერი აიმტუტა, აირია. წამიც და ზეცად მიმავალი კვამლი გველივით დაიკლაკნა: მზისგან შემწვარ მოლს ცეცხლი მოედო.

სევდით გულ-დაკოდილი შევჰყურებდი ჩემს უცხო ყვავილს, რომელსაც გრძლად გამოწვდილი ცეცხლის ენები საშინელი სისწრაფით უახლოვდებოდნენ. ის კი, სიცოცხლისა და სიყვარულის მწყურვალი, გააფთრებული იბრძოდა. ხან მარჯვნივ იზნიქებოდა, ხან მარცხნივ ხოლმე, და მით ცეცხლის მახვილს გაურბოდა.

— „ოჰ, უდროოდ დაღუპული ოცნება, უდროვოდ დამარხული სიყვარული! ნეტავ მაინც განმეცადა, სავსებით მეგრძნო“—ტრაღიკულად შევყვირე როცა დავინახე, რომ გაძლიერებულმა ცეცხლის ენებმა ჩემს ყვავილს ვიწრო წრე შემოარტყეს და თავიანთ გაატლასებულ ირგვლივში სამუდამოდ ჩაიტანეს.

— „მაშინ ის ხომ უცეცხლოდ, თავისით დაიწვებოდა“...
გამისწორა ყრუ ჩამოძახილმა.
მე კი ტანჯვა მსერავდა.

ა. ბელვერდელი.



† ექიმი ვას. გ. გამრეკელი.



† სტუდ. სოსო მექანარიშვილი.

# რის გულისათვის?..

კვირა დღით მაშო მუდამ ეკლესიის კარებთან იდგა და გამვლელ-გამომვლელთ მოწყალებასა სთხოვდა. თუ ზოგს გულუბრყვილო სიცილით ხელს გაუწვდიდა, ზოგს თვითონვე შუბლ-მოღუშულ პირს არიდებდა და ჩუმად რაღასაც ბუტბუტებდა. ხან კი გალავნის რომელიმე კუთხეში მიჯდებოდა და გულ ამომჯდარი რაღაზედაც ტიროდა.

საკმარისი იყო მაშინ ლაზლანდარა ბიჭ-ბუჭებს მისთვის თვალი მოეკრათ, რომ თავს არ დასხმოდნენ და უგვანო ოხუნჯობით შეშლილი გოგო უარესად არ აეღელვებინათ.

— ჰა, რა გატირებს, მაშო! წუხელი პავლე აღარ გესტუმრა?..—ჰკითხავდა ერთი მათგანი დაცინვით და მას სხვებიც მიჰყვებოდნენ...

საზარელი კი უფრო ის იყო, რომ იმ ბრბოში, რომელიც მას ეხვეოდა, ოცდა ორი წლის ვაჟკაცებთან ერთად—ექვსი-შვიდი წლის ბალღებიც ერივნენ, რომელნიც მუდამ უწმაწური ლაპარაკის და მოქმედების მოწმენი იყვნენ და წ ხედულობით ისინიც ფეხის ხმას ჰყვებოდნენ, ზოგჯერ, რომელიმე წვერულვაშიანი ხელით, ან სიტყვით გიჟ მაშოს იქამდის აწვალებდა, რომ მოთმინებიდან გამოსული ავადმყოფი უცებ თმებში ხელს იტაცებდა და საშინლად გაჰკიოდა:

— რას ჩამცივებიხართ, რა გინდათ ჩემგან, ხომ არ გინდათ, რომ გამაგიჟოთო... ბრბო ხარხარებდა და მაშინ ვაჟკაცურ ხმებთან ერთად პაწია ბავშვების ხმაც, იმ საერთო კიჟინაში, შორს ზარივით გამოკრთოდა. გიჟი კი ჯერ ხმა მაღლა გულ-ამომჯდარი სტიროდა, მაგრამ იმ დროს თუ ვინმე გვერდში ხელს წაატანდა და უღიტინებდა—ის ისევე სწრაფად გადიხარხარებდა და ამით ბრბოს თითქოს უფრო აღიზიანებდა.

როგორც ცეცხლზე დასხმულმა ნავთმა უცებ იფეთქოს და აგუგუნდეს—ცრემლებით შეზავებული გიჟის ავადმყოფური ხარხარი ბრბოს ისე ახმაურებდა და მათ ველურ, თავდაუკავებელ მხიარულებას აძლიერებდა.

ზოგჯერ კი მაშო შურსაც იძიებდა. გააფთრებული და გალომებული თუ ქვას, ან ჯოხს სადმე მოახელებდა, როგორც ქორი წიწილებს, ყველას ისე დაერეოდა და შემოიფანტავდა, მაგრამ ვაი იმის ბრალი თუ გასროლილი ქვა ან ჯოხი ვისმეს მოხვდებოდა...

საბრალო გიჟს დაუნდობლად ეძგერებოდნენ და სანამ ვინმე ხელიდან წაჰგლეჯავდა, ცემის გარდა—ყოველ გვარ შეურაცხყოფას აყენებდნენ...

საკვირველი კი ის იყო, რომ ამ გვარ ცხოვრებით მისი გარეგნობა თითქოს არ ილახებოდა ალბად იმისთვის, რომ ახალგაზრდობის ძალა ჯერ არაფერს ემორჩილებოდა...

ჭუჭყიანობისა და ბლაძუნის გამო ტანსაცმელი ათას გვარად ჰქონდა შემოფხრეწილი, მაგრამ თვით მას არა აკლდებოდა-რა: სხეული არ ჰქონდა გამხმარი, სახეზე კი ზოგჯერ ვარდის ფერი ეფინებოდა. მართალია ზევრჯელ ულმერთო ცემისაგან დასიებულ და ჩალურჯებულ თვალით, ან თავგატეხილი დადიოდა, მაგრამ ხორცს მაინც არა ჰყრიდა და ელფერს კი იშვიათად.

მაშო არას დროს თავის მოკლე თმებს არ ივარცხნიდა, რის გამოც მუდამ ყალყზე დამდგარი ჯაგარივით თმები მის თვალებს საშინელ იერს აძლევდა.

თუ ადრე იყო და ეკლესიაში მოსულ მაშოს არავინ არ აწუხებდა, სამრეკლოს ქვეშ აიტუზებოდა რაღაც უცნაურ სიამოვნებით თვალებ გაშტერებული ფრჩხილებს იკვნეტდა და თითებზე ტყავსა და ნუნას იგლეჯდა. ამის გამო მაშოს ხელები მუდამ ისე ჰქონდა დაიარავებული, თითქოს ეს არის მდუღარე წყალი გადასხმია და ტყავ გამძვრალს მისთვის დაჭარხლებიაო. მე რომ პირველად ვნახე—გოგო ასაკში მოდიოდა. ალბად ის იყო მიზეზი, რომ მას ხელები ჯვარედინად გადაეწყო და შეშინებული ორივე მხარეზე შეკოკრებულ მკერდს ბიჭებისგან იფარავდა.

სხვა დროს იქნებ მის გვერდით ისე გამევლო, რომ არც კი შემეჩნია, რადგან ბრბოს თავის მოყრა რომელიმე ქუჩაზე ჩვენ ქალაქში იშვიათი და მით უფრო გულის დამამშვიდებელი არ არის, მაგრამ იმ ბრბომ კი ჩემი ყურადღება მისთვის მიიპყრო, რომ გვერდზე გავლის დროს შემაძრწუნებელი კივილი შემომესმა!

— დამანებე, შე რჯულ ძაღლო, ხელს ნუ მახლებ, მტკივა, ძლიერ მტკივა...—რომ მივიხედე—დავინახე, რომ თავ აბურძგნული



ხორუნჟი დავით ბ. ბარბაქაძე
(დაჭრილია).



პორუჩ. ალექსანდრე ბ. ბარბაქაძე
(დაჭრილია).



პრაპ. გიორგი ბ. ბარბაქაძე
(მოკლულია).

თოთხმეტ-თხუთმეტის წლის გოგო, წელში რკალივით თავის დასაცავად მოხრილიყო, ერთი ხელით გული დაეფარებინა და მეორეთი კი ზედ მიტანებულ წითელ ხალათა ბიჭს იგერებდა.

— ათ შაურს გაჩუქებ, მაშო, ხომ იცი... ათ შაურს... იმ დღესაც აკი მოგეცი!.. რაღაც საზარელი ღიმილით ეხვეწებოდა წითელ ხალათა და დაჟინებით გოგოს გულთან ეტანებოდა. მაშო შეძრწუნებული სახით უკან იწევდა, მაგრამ უკანიდან ახლა სხვები ეტანებოდნენ... ზოგი სჩმეტდა და ზოგი კი ულიტინებდა. გოგო ჰკიოდა და თავის დახწევას ლამობდა. მის კიჟინზე ამ დროს მეორე ქუჩიდან ზედამხედველი მოვარდა, ქარქაშიანი ხმლით ჯერ ბრბო გაჰფანტა, შემდეგ შეშინებული გოგო წინ გაიგდო და სადღაც წაიყვანა... მასუკან მისთვის დიდი ხანი თვალი არ დამიკრავს. ორი წლის შემდეგ იგივე გოგო ეკლესიის კარებთან ბავშვით ხელში ვნახე და გამიოცდა: სრულიად უცვლელ სახეზე ავადმყოფურ თვალების გამამეტყველებასთან ერთად ბავშური იერი ისევე შერჩენოდა.

ფერმკრთალი შვილი ერთ ხელზე გადაეწვინა. ძუძუ მიეცა და ხელ გაწვდენილი სიცილით თხოულობდა.

— უკვე დედა გამხდარა, ვიფიქრე მე და გაოცებით, მაგრამ უფრო მძიმე კილოთი ჩავეკითხე: მაშო, ეგ ბავშვი ვისია?!..

— ჩემია, ვისი უნდა იყოს—მიპასუხა ისე მტკიცედ და ისეთი გაკვირვებითაც, თითქოს უგვანო დ უადგილო კითხვით შეურაცხვყავი, თან თვალებ ჩახუჭულ და ტუჩებ აცმაცნებულ ბავშვისაკენ დაიხარა და მაგრა აკოცა.

ძილში წასული ბავშვი რომ შეკრთა და სატირლად გაემზადა, გიჟს სახე უცებ შეეცვალა, ბავშვი გულზე მაგრა მიიკრა, ჩვენ მოგვარიდა და ნელი რწევით ეკლესიის მეორე გვერდს მოეფარა.

ეკლესიაში აღარ შევსულვარ. იქვე კარების ახლო გავჩერდი და მოუთმენლად ცდა დავუწყე... გალავნის კარებში ამ დროს ორი ნაცნობი მკერავი ქალები გამოჩნდნენ. მათ კაბების შრიალით და რაღაც უკმეხი და თითქოს კი ამაყი გამომეტყველებით გვერდით გამიარეს და ოდნავ თავი დამიკრეს. უნცროსმა დამ პირჯვარი გადაიწერა, საყდარში შევიდა, მეორე კი იქვე ჩემთან შორიახლო გაჩერდა და გაფითრებულმა აქეთ-იქით თვალებით რაღასაც ძებნა დაუწყო. იმათ მოსვლაზე ჩემს უკან მდგომმა დედაკაცებმა ტყეში შეჭრილ ნიავივით დაკავებული ჩურჩული ასტეხეს...

—ეი, ეს დასაქცევები სულ ახალ-ახალ კაბით არ დაიარებიან—ჩასტუტუნა ერთმა-მეორეს.

— რატომ არ ჩაიცვამენ, რა! ხელობა მაგათია, მთელ ქალაქში პირველი „პარტნიხები“ ეგენი არიან, ქვეყნის პრანწვებს ეგენი რჩებიან და არ ჩაიცვამენ? ჩურჩულითვე უპასუხა მეორემ და თან უფრო წახალისებით განაგრძნო:

— იჰ, რა გამოვიდა, ცხენის თავებს რაც გინდა ის ჩააცვი, ერთი შეხედე რასა ჰგავს?!

— ქა, დასწყევლოს ღმერთმა, მაგ უმფროს დას რა დამართვია, ეგრე ყვითლად რამ ჩამოაჭკნო?!

— რამა, ქალო და, ასე ამბობენ მეხუთე უბნის ზედამხედველი, აი დიდ ულვაშება, ახმახი კაცი რომ არის, ის გაგიჟებით შეჰყვარებია. იმას უთქვამს ჯვარს კი არ დავიწერ და თუ გინდა ისე ვიცხოვროთო. მაგას უარი უთქვამს და მას შემდეგ თურმე ბნედასავით რაღაცა მოსდის და დღითი დღე ეგრე თურმე იმისთვის ჭკნება.

— იჰ, მეხი კი ჩავაყარე! შეჰყვარებია კი არა, ქალო, გათხოვება თურმე უნდა და ხან ერთს ჩამოეკიდება კისერზე, ხან მეორეს... ერთი ჰკითხე, რაღა დროს მაგის გათხოვებაა, ორმოცდა რვა წელს მიხწეულია... გესლიანად გამოეპასუხა მეორე და უმალ გაჩუმდა, რადგან მკერავმა ქალმა თითქოს იგრძნო, რომ იმაზე იყო ლაპარაკი, ჩვენ მხარეს ბოროტი გამომეტყველებით მოიხედა და ჩაახველა.

სანამ გვერდიდან შევცქეროდი, მის სახის გამომეტყველებას სავსებით ვერ ვამჩნევდი.

გვერდიდან მხოლოდ იმას ვხედავდი, რომ ყელთან, თუმცა „პუდრა“ შეყრილ, მაგრამ მაგრამ მაინც ყვითელ კანის ქვეშ ძარღვი ძლიერ მოუსვენრად უფეთქავდა, ზოგჯერ შემხმარი ცხვირის ნესტოები უთრთოდა და მაშინ ის წამი იყო, როდესაც ქალი, თითქოს იმედ გადაწყვეტილი, აქეთ-იქით ტრიალდებოდა და ვიღასაც ეძებდა. მან რომ ჩვენსკენ მოიხედა, ოქროს ჩარჩოიან სათვალეებიდან ჩაცვინული თვალები ისეთნაირად შემოგვანთო, თითქოს იმ წამს მთელი ქვეყანა ფეხ-ქვეშ ენგრეოდა...

მაშინვე გადავწყვიტე, რომ უმცროსი და მას ვაღასიც პოვნას შველოდა. ამ დროს ის კიდეც ეკლესიიდან გამოვიდა და უფროსს ჩუმად წასჩურჩულა: „აქ არა სჩანსო“. შემდეგ რა მოხდა, ან რა ცვლილება მოახდინა დის სიტყვებმა უფროსზე—არ შემიმჩნევია, რადგან გიჟი უკვე გაფხიზლებულ ბავშით ხელში ხტუნ:ით და სიცილით გამოხტა და ჩემი ყურადღება მან მიიზიდა. ბავშვი მან ხან ერთ მამა კაცს და ხან მეორეს ახლო გულთან მიუტანა და თან მოწყალება სთხოვა.

შემდეგ ჟანგიანი გროშები შვილს კალთაში ჩაუყარა, იქვე საფლავის ქვაზე ჩამოჯდარმა ბავშვი მუხლებზე დაისვა და გულზე მიხუტებულს რამდენჯერმე აკოცა.

იმ წამს მისი სახე შეუვნებელ სინაზეს გამოხატავდა, ატაცებული სიცილიც სადღაც გაუქრა. გიჟს, როგორც მუდამ, ეხლაც რამდენიმე ადამიანი შემოეხვია. ზოგი იცინოდა და ოხუნჯობდა, ზოგი კი სიბრალულს ხატავდა, ის იმ წამს ყურადღებას არავის აქცევდა, თითქოს არავის ხედავსო. მკერავი ქალები კი მაინც იდგნენ და ვიღასიც თვალიერებას განაგრძნობდნენ. ბოლოს იმედი რომ გაუწყდათ, წასვლის დროს იმათაც გიჟს გვერდით გამოუარეს. მის წინ უფროსი გაფითრებული და აღელვებული შეჩერდა, შემდეგ იმავე ქვაზე ულონოდ დაეშვა და ცოტა ხნის ს ჩუმის შემდეგ გიჟს ჩაეკითხა!

— მაგისი მამა სად არის, მაშო!?

— მე რა ვიცი, მოკლედ მიუგო და ბავშვს ქანაობა დაუწყო.

— არც ის იცი ნამდვილი მამა ვინ არის?..

— მე რა ვიცი ვინ არის? აგერ ისიც მამაა, აის კაციც, ისიც... ყველა კაცი მამაა... რომელი გითხრა, ან განა სულ ერთი არ არის ვინც უნდა იყოს, ეს ბავშვი კი ჩემია და!..

— მაშ ეგ ბავშვი ვისია, დანამდვილებით არ იცი, კიდევ გაუმეორა კითხვა ქალმა და მით გიჟი თითქოს აღელვა.

— არ გეუბნევი რომ ჩემია, მე ვშობე და ძუძუსაც ვაწოვებ, ვისი უნდა იყვეს?.. შეტევით უპასუხა მაშომ და ბავშვს სახეში მიაშტერდა.

მკერავი ქალი გაჩუმდა. მუხლებზე თავი მძიმედ ჩამოჰკიდა და ცახცახს მოჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ ტირილიც ზედ დაერთო. ეჭვი არ იყო, რომ ავადმყოფობამ მოუარა, მაგრამ მან თავის თავს დასძალა, ცრემლები მოიწმინდა და აკანკალებული ხმით დას მიჰმართა!

— აბა ერთი შემოგვხედე, ამ ორში რომელი უფრო გიჟი ვართ—მე, თუ ესა? ნეტა რისთვის, ასე რისთვის ვიტანჯები, განა ეს სამართალია?...

ცქვიტი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.